ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 265

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №62-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.14.11.003.029) 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ვინგჰაუსისთვის" (ს/ნ: 405379754) იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №62-ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.029) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ვინგ ჰაუსისთვის" (ს/ნ 405379754) იჯარით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 09 სექტემბრის №20.1034.1274 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №62 ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.029) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ვინგჰაუსისთვის" (ს/ნ 405379754) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2400 (ორი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე